

**AGREEMENT
BETWEEN THE GOVERNMENT OF GEORGIA
AND
THE GOVERNMENT OF THE REPUBLIC OF KOREA
ON ECONOMIC COOPERATION**



The Government of Georgia and the Government of the Republic of Korea (hereinafter referred to as the "Parties"),

Desiring to promote economic cooperation on the basis of equality, non-discrimination and mutual benefit, and

Guided by the universally recognized principles and norms of international law,

Have agreed as follows:

Article 1

The Parties, in accordance with their national legislation and the rules and principles of international law, shall endeavor to promote, develop and strengthen economic cooperation between the two countries on a stable and long-term basis.

Article 2

The Parties, taking into consideration their current economic relations, shall endeavor to promote bilateral economic cooperation in the following fields:

- (a) energy and mineral industry;
- (b) automotive industry;
- (c) electronics;
- (d) agriculture, fisheries and aquaculture;
- (e) tourism;
- (f) information and communication technologies;
- (g) environmental protection; and
- (h) any other economic fields of mutual interest to the Parties.

Article 3

The Parties will promote different forms of cooperation under this Agreement, which may include:

- (a) encouraging joint ventures between enterprises of the two countries in all fields of mutual interest;
- (b) developing ties between small and medium sized enterprises;
- (c) developing and exploring trade ties by popularizing products manufactured by the enterprises of the two countries, including through participation in the two countries specialized exhibitions and trade fairs and the organization of Georgian wine tasting events in the Republic of Korea;



- (d) exploring investment opportunities by exchanging information on investment projects and promoting the organization of trade and investment missions in their respective countries;
- (e) sharing experiences, through different forms, in the economic spheres, including the exchange of experts and technical staff and the organization of training programs;
- (f) organizing and holding technical and economic workshops and business forums in both countries;
- (g) exchanging information on technical regulations, commercial activities and financial services, as well as other information, which is necessary for the promotion of economic cooperation;
- (h) environmental Protection; and
- (i) any other forms of economic cooperation on which the Parties mutually agree in accordance with their national legislation and the principles and norms of international law.

Article 4

1. To facilitate the implementation of this Agreement, the Parties shall establish a Joint Commission composed of representatives of the Parties.

2. The Joint Commission shall carry out the following activities:

- (a) discussing bilateral economic cooperation;
- (b) promoting the cooperation as referred to in Articles 2 and 3;
- (c) reviewing and monitoring the implementation of this Agreement; and
- (d) any other activities that may be mutually agreed upon by the Parties.

3. The Joint Commission shall meet on a periodic basis, alternately in Georgia and the Republic of Korea, as mutually agreed by the Parties.

Article 5

None of the provisions of this Agreement shall be interpreted as affecting the rights or obligations arising from bilateral or multilateral international agreements to which either Party is party.

Article 6

Any dispute arising in connection with the interpretation or implementation of this Agreement shall be settled by the Parties through bilateral consultations or/and negotiations.

Article 7

The provisions of this Agreement may be amended with the mutual consent of the Parties. Any such amendment shall be set out in a separate document, shall enter into force in the same manner as this Agreement and shall constitute an integral part of this Agreement.


Article 8

1. This Agreement shall enter into force on the thirtieth (30th) day after the date of the last written notification, by which the Parties, through diplomatic channels, have notified each other of the completion of their internal procedures necessary for the entry into force of this Agreement.
2. This Agreement shall remain in force, unless either Party, in writing through diplomatic channels at least six (6) months in advance, notifies the other Party of its intention to terminate this Agreement.

IN WITNESS WHEREOF, the undersigned, being duly authorized thereto by their respective Governments, have signed this Agreement.

Done in duplicate at Seoul, on March 11, 2019, in the Georgian, Korean, and English languages, all texts being equally authentic. In case of any divergence of interpretation, the English text shall prevail.

**For the Government of
Georgia**



**For the Government of
the Republic of Korea**



შეთანხმება
საქართველოს მთავრობასა და
კორეის რესპუბლიკის მთავრობას შორის
ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ



საქართველოს მთავრობა და კორეის რესპუბლიკის მთავრობა (შემდგომში „მხარეები“),

გამოთქვამენ რა ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობის სურვილს თანასწორობის, არადისკრიმინაციულობისა და ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე, და

ხელმძღვანელობენ რა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებითა და პრინციპებით,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

მხარეები, თავიანთ სახელმწიფოებში მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული წესებისა და პრინციპების შესაბამისად, შეეცდებიან ხელი შეუწყონ, განავითარონ და გააძლიერონ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობა სტაბილურ და გრძელვადიან საფუძველზე.

მუხლი 2

მხარეები, ითვალისწინებენ რა მათ ამჟამინდელ ეკონომიკურ ურთიერთობებს, შეეცდებიან ხელი შეუწყონ ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას შემდეგ სფეროებში:

- (a) ენერგეტიკა და სამთომომპოვებელი მრეწველობა;
- (b) საავტომობილო მრეწველობა;
- (c) ელექტრონიკა;
- (d) სოფლის მეურნეობა, თევზჭერა და „აკვაკულტურა“;
- (e) ტურიზმი;
- (f) საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;
- (g) გარემოს დაცვა და
- (h) სხვა ნებისმიერი ეკონომიკური სფეროები, რომლებიც წარმოადგენს მხარეთა ორმხრივი ინტერესის საგანს.



მუხლი 3

წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე, მხარეები ხელს შეუწყობენ თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმებს, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს:

- (a) ორ ქვეყანას შორის ერთობლივი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა ორმხრივი ინტერესის მქონე ყველა სფეროში;
- (b) მცირე და საშუალო საწარმოებს შორის კავშირების განვითარება;
- (c) სავაჭრო კავშირების განვითარება და შესწავლა ორივე ქვეყნის საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაციის მეშვეობით, მათ შორის, ორივე ქვეყნის სპეციალიზებულ და სავაჭრო გამოფენებში მონაწილეობით და ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების დეგუსტაციის ორგანიზება კორეის რესპუბლიკაში;
- (d) საინვესტიციო შესაძლებლობების შესწავლა, საინვესტიციო პროექტების შესახებ ინფორმაციის გაცვლის გზით და საინვესტიციო და სავაჭრო მისიების ორგანიზების ხელშეწყობა თავიანთ ქვეყნებში;
- (e) ეკონომიკის დარგებში სხვადასხვა ფორმით გამოცდილების გაზიარება, მათ შორის, ექსპერტებისა და ტექნიკური პერსონალის გაცვლითა და სასწავლო პროგრამების ორგანიზებით;
- (f) ტექნიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე სემინარებისა და ბიზნეს ფორუმების ორგანიზება და ჩატარება ორივე ქვეყანაში;
- (g) ტექნიკური რეგულაციების, კომერციული საქმიანობებისა და ფინანსური მომსახურებების შესახებ, ასევე, სხვა ისეთი ინფორმაციის გაცვლა, რომელიც აუცილებელია ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის;
- (h) გარემოს დაცვა; და
- (i) ნებისმიერი სხვა ფორმის ეკონომიკური თანამშრომლობა, რომელზეც მხარეები ერთობლივად შეთანხმდებიან თავიანთ სახელმწიფოებში მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის, საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 4

1. წინამდებარე შეთანხმების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, მხარეები შექმნიან ერთობლივ კომისიას, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ მხარეთა წარმომადგენლები.

2. ერთობლივი კომისია განახორციელებს შემდეგ საქმიანობებს:

- (a) ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის განხილვა;
- (b) მე-2 და მე-3 მუხლებში მითითებული თანამშრომლობის ხელშეწყობა;

- (c) წინამდებარე შეთანხმების განხორციელების განხილვა და მონიტორინგი; და
- (d) ნებისმიერი სხვა საქმიანობა, რომელიც შეიძლება ერთობლივად შეთანხმდეს მხარეთა შორის.

3. ერთობლივი კომისია შეიკრიბება პერიოდულად, მონაცვლეობით, საქართველოსა და კორეის რესპუბლიკაში, როგორც ერთობლივად შეთანხმდება მხარეებს შორის.

მუხლი 5

წინამდებარე შეთანხმების არც ერთი დებულება არ უნდა განიმარტოს ისე, თითქოს იგი გავლენას ახდენდეს რომელიმე მხარის იმ უფლებებზე ან ვალდებულებებზე, რომლებიც გამომდინარეობს იმ ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებებიდან, რომლის წევრიცაა თითოეული მხარე.

მუხლი 6


წინამდებარე შეთანხმების განმარტებასთან ან განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, მხარეთა მიერ, გადაწყდება ორმხრივი კონსულტაციების ან/და მოლაპარაკებათა გზით.

მუხლი 7

წინამდებარე შეთანხმების დებულებებში შესწორების შეტანა შესაძლებელია მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ნებისმიერი ამგვარი შესწორება უნდა გაფორმდეს ცალკე დოკუმენტის სახით, ძალაში შევიდეს ისეთივე წესით, როგორი წესითაც წინამდებარე შეთანხმება და უნდა წარმოადგენდეს ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 8

1. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ბოლო წერილობითი შეტყობინების მიღების დღიდან ოცდამეათე (30) დღეს, რომლის საშუალებითაც, მხარეები, დიპლომატიური არხების საშუალებით აცნობენ ერთმანეთს შეთანხმების ძალაში შესასვლელად საჭირო შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შესახებ.




2. წინამდებარე შეთანხმება ძალაში დარჩება, თუ ერთ-ერთი მხარე არა ნაკლებ ექვსი (6) თვით ადრე, დიპლომატიური არხების მეშვეობით, წერილობით არ აცნობებს მეორე მხარეს თავის გადაწყვეტილებას, მოქმედება შეუწყვიტოს წინამდებარე შეთანხმებას.

ამის დასტურად, ქვემოთ ხელის მომწერები, რომლებიც უფლებასმოსილნი არიან თავიანთი მთავრობის მიერ, ხელს აწერენ შეთანხმებას.

შესრულებულია ორ ეგზემპლარად, 2019 წლის 11 მარტს ქართულ, კორეულ და ინგლისურ ენებზე, ყველა ტექსტი თანაბრად ავთენტურია. თარგმანში განსხვავების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.

საქართველოს მთავრობის
სახელით



კორეის რესპუბლიკის მთავრობის
სახელით

